ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 121

24 მაისი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

„ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის №46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127^2 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №19.203.308 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის №19.584.759 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის №46

განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. შეთანხმდეს „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №19.203.308 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის №19.584.759 განკარგულების დანართი №2-ით განსაზღვრული უძრავი ქონების იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა ელექტრონული აუქციონის წესით და აღნიშნული უძრავი ქონების საწყის საიჯარო ღირებულებად განისაზღვროს ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები საფასურით - 1 კვ.მ მიწის ნაკვეთზე -1 (ერთი) ლარის ოდენობით."

2. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №19.203.308 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის №19.584.759 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს შპს ,,ქართლიენერჯს" (ს/ნ:404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებული **№-455-1-23227** იჯარის ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.1.10. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.10. საკუთარი ხარჯებით მოახდინოს საიჯარო ქონებაზე ცალკე აბონენტად რეგისტრაცია სარგებლობის უფლების მიმღების სახელზე და გადაიხადოს კომუნალური გადასახად(ებ)ი;".

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე